შეთანხმების აქტი

ქ. თბილისი

27 აპრილი 2018წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 მარტის №140 დადგენილების საფუძველზე, სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი (ს/კ 204579456), მისი უფროსის, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თინათინ ბრეგვაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „კოლექტივი", წარმოდგენილი მისი დირექტორის შალვა რადიანის სახით, ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება მასზედ, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 30 მარტის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №15/1822 ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. ხელშეკრულებაში მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ზემოხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე შეთანხმების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და წარმოადგენს მხარეთა შორის 2018 წლის 30 მარტს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №15/1822 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:

სსიპ საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თინათინ ბრეგვაძე

მიმწოდებელი:

შპს კოლექტივის
დირექტორი

შალვა რადიანი